ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2890835

ნომერი: AR1445416

თარიღი : 30.09.2016

გაცემის თარიღი : 21.10.2016

გაცნობის თარიღი : 24.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 30 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა ფრუიძე პ/ნ 01036003288
- თბილისი შ.მიქატაძის შეს. N 3

ორგანიზაცია:
- შპს „სითი რეალ ისთეით“ კოდი: 406067410

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 11 ივნისის №2642280 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 20 სექტემბრის №AR1445416 განცხადებით მომართა ლაშა ფრუიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 11 ივნისის №2642280 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 11 ივნისის №2642280 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. №30-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.14.030.020), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის II ბლოკის (სასტუმრო, საცხოვრებელი, კომერციული და სხვა) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 11 ივნისის №2642280 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორადაა დაფიქსირებული საერთო ფართობის და საზაფხულო ფართობის მაჩვენებლები. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია გასწორდეს აქტში დაშვებული შეცდომა და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობი დაფიქსირდეს 18950.6 კვ.მ, ხოლო საზაფხულო ფართობი 2720.85 კვ.მ.

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 11 ივნისის №2642280 ბრძანებაში, კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობი დაფიქსირდეს 18950.6 კვ.მ, ხოლო საზაფხულო ფართობი დაფიქსირდეს 2720.85 კვ.მ. სამსახურის 2016 წლის 11 ივნისის №2642280 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 11 ივნისის №2642280 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.